**სამოსამართლო გამოცდილების არმქონე მოსამართლეობის კანდიდატის შეფასების ფორმა**

**მოსამართლეობის კანდიდატის *მაია ყუშიტაშვილის* შეფასების შედეგი:**

| **მოსამართლეობის კანდიდატის შეფასება კეთილსინდისიერების კრიტერიუმის მიხედვით** | |
|---|---|
| მოსამართლეობის კანდიდატი არ აკმაყოფილებს კეთილსინდისიერების კრიტერიუმს | ☐ |
| მოსამართლეობის კანდიდატი აკმაყოფილებს კეთილსინდისიერების კრიტერიუმს | ☐ |
| მოსამართლეობის კანდიდატი სრულად აკმაყოფილებს კეთილსინდისიერების კრიტერიუმს | ☒ |

**მოსამართლეობის კანდიდატის შეფასება კომპეტენტურობის კრიტერიუმის მიხედვით**

| **კრიტერიუმი** | **მიღებული ქულა** | **მაქსიმალური ქულა** |
|---|---|---|
| სამართლის ნორმების ცოდნა | 23 | 25 |
| სამართლებრივი დასაბუთების უნარი და კომპეტენცია | 24 | 25 |
| წერისა და ზეპირი კომუნიკაციის უნარი | 18 | 20 |
| პროფესიული თვისებები | 14 | 15 |
| აკადემიური მიღწევები და პროფესიული წვრთნა | 3 | 10 |
| პროფესიული აქტივობა | 4 | 5 |
| **ქულათა ჯამი** | 86 | 100 |

**შემფასებელი: გიორგი გზობავა**

**თარიღი:**

04.07.2025

## საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წევრი

## გიორგი გზობავა

**„ 04 “ ივლისი, 2025 წელი** **თბილისი**

საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წევრმა გიორგი გზობავამ, მივიღე რა მონაწილეობა იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 2025 წლის 25 თებერვლის №1/23 განკარგულებით დაწყებულ, საქართველოს სააპელაციო და რაიონული (საქალაქო) სასამართლოების მოსამართლეობის კანდიდატთა შერჩევის პროცედურაში, „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მოთხოვნათა შესაბამისად, მოვახდინე კონკურსში მონაწილე კანდიდატის - **მაია ყუშიტაშვილის**

**შ ე ფ ა ს ე ბ ა**

**1. შეფასების პროცედურის შესახებ**:

- საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 2025 წლის 25 თებერვლის №1/23 განკარგულებით, ჩატარდა საქართველოს სააპელაციო და რაიონული (საქალაქო) სასამართლოების მოსამართლეთა 17 ვაკანტურ თანამდებობაზე განწესების მსურველ კანდიდატთა შერჩევის პროცედურა.

- იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 2025 წლის 25 მარტის №1/32 განკარგულების შესაბამისად, მოსამართლეობის კანდიდატების შერჩევის პროცედურაში მონაწილეობის მიღების მიზნით, დარეგისტრირდა **მაია ყუშიტაშვილი.**

- იუსტიციის უმაღლესი საბჭოს შესაბამისმა სამსახურმა, „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის $34^2$ მუხლით დადგენილი წესით, მოიპოვა და წარმოუდგინა საბჭოს ინფორმაცია შესაბამისი კანდიდატის შესახებ, რომელსაც გავეცანი დეტალურად.

- „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის $34^1$ მუხლის მე-8 და მე-10 პუნქტებით დადგენილი წესით, იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მიერ 2025 წლის 29 აპრილს, ჩემი მონაწილეობით, ჩატარდა კანდიდატის - **მაია ყუშიტაშვილის** საჯარო მოსმენა.

- საჯარო მოსმენის დასრულების შემდეგ, „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის $34^1$ მუხლის მე-11 პუნქტით დადგენილი წესით, „კანდიდატი“, როგორც სამოსამართლო გამოცდილების არმქონე კანდიდატი, შევაფასე - ამავე ორგანული კანონის $35^1$ მუხლის მე-15-მე-16 პუნქტების შესაბამისად.

## 1. კანდიდატის შეფასება კეთილსინდისიერების კრიტერიუმის მიხედვით

წარმოდგენილი ინფორმაციის მიხედვით, **მაია ყუშიტაშვილი** გამოირჩევა კეთილსინდისიერებით, პროფესიონალიზმით, პასუხისმგებლობის გრძნობით, გადაწყვეტილების დამოუკიდებლად მიღების უნარით, შრომისმოყვარეობით, სანდოობით. მას სწორად აქვს გაანალიზებული მისთვის დაკისრებული პასუხისმგებლობა და ფინანსურ ვალდებულებებს (ქონებრივი დეკლარაციის შევსება, ბანკის ან სხვა ვალის გადახდა, საგზაო მოძრაობის წესების დარღვევისათვის ჯარიმის გადახდა და სხვ.) ასრულებს ჯეროვნად. ამასთან, კანდიდატის პირად თვისებებს და პროფესიულ საქმიანობას - გამოკითხული რეკომენდატორები და მასთან სამსახურეობრივ თუ პირად ურთიერთობაში მყოფი პირები აფასებენ დადებითად.

წარმოდგენილი მასალებიდან ირკვევა, რომ საანგარიშო პერიოდში **მაია ყუშიტაშვილს** არ უფიქსირდება საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსით გათვალისწინებული სამართალდარღვევის ჩადენის ფაქტი.

შესწავლილი დოკუმენტაციის შესაბამისად, არ იკვეთება რაიმე სახის შეუსაბამობა ან წინააღმდეგობა კანდიდატის ქონებრივ მდგომარეობას, მის შემოსავლებს და ვალდებულებებს შორის, რამაც შეიძლება გამოიწვიოს წინააღმდეგობა მოსამართლეობის კანდიდატის ინტერესებსა და მართლმსაჯულების ინტერესებს შორის.

**დასკვნა:** ზემოთ აღნიშნულიდან გამომდინარე, ვინაიდან კანდიდატი აკმაყოფილებს „საერთო სასამართლოების შესახებ" ორგანული კანონით განსაზღვრულ ყველა კრიტერიუმს, მიმაჩნია, რომ წარმოდგენილი კანდიდატი - **მაია ყუშიტაშვილი სრულად აკმაყოფილებს კეთილსინდისიერების კრიტერიუმს.**

## 2. კანდიდატის შეფასება კომპეტენტურობის კრიტერიუმის მიხედვით

### 2.1. სამართლის ნორმების ცოდნა

**მაია ყუშიტაშვილი** არის იუსტიციის უმაღლესი სკოლის XVIII ჯგუფის მსმენელი:

- მოსამართლის საკვალიფიკაციო გამოცდაში მიღებული ქულებია - 82/16.
- რიგითი ნომერი ჯგუფის საკვალიფიკაციო სიაში - 6.

დამოუკიდებელი საბჭოს შეფასებით - *„სამოქალაქო სამართალში* - მაია ყუშიტაშვილს აქვს კარგი თეორიული ცოდნა და შესაბამისად ახდენს პრაქტიკაში მის გამოყენებას. მას აქვს ძალიან კარგი სამართლებრივი ანალიზის უნარი, შეუძლია არგუმენტირებული და დახვეწილი სამართლებრივი მსჯელობა, სამართლებრივი არგუმენტების მოძიება, მათი ერთმანეთთან სწორად დაკავშირება და შესაბამისი დასკვნის გამოტანა. მის მიერ მომზადებული გადაწყვეტილებების პროექტები წერილობით სწორად და თანმიმდევრულად იყო ჩამოყალიბებული. *ადმინისტრაციული სამართალში* - მაია ყუშიტაშვილს აქვს თეორიული ცოდნა, რასაც სათანადოდ იყენებს პრაქტიკაში. მას გააჩნია სამართლებრივი ანალიზის უნარი, არგუმენტირებული და საფუძვლიანი მსჯელობა. შეუძლია სათანადო არგუმენტების მოძიება, მათი ერთმანეთთან სწორად დაკავშირება და შესაბამისი დასკვნის გამოტანა. მის მიერ

მომზადებული გადაწყვეტილებების პროექტები დასაბუთებულია. ამასთან, სასურველია უფრო მეტი შინაგანი გახსნილობა. *სისხლის სამართალში* - მიღებულ თეორიულ ცოდნას სათანადოდ იყენებს პრაქტიკაში. მაია ყუშიტაშვილს აქვს სამართლებრივი ანალიზის და მსჯელობის კარგი უნარი. შეუძლია სამართლებრივი არგუმენტების მოძიება, მათი ერთმანეთთან სწორად დაკავშირება და შესაბამისი დასკვნების გამოტანა. მის მიერ მომზადებული გადაწყვეტილებების პროექტები სწორად და თანმიმდევრულად არის ჩამოყალიბებული. რეკომენდებულია მან იმუშაოს სემინარული მუშაობისას დაშვებული მცირე შეცდომების გამოსწორებაზე და წერილობითი უნარების უფრო მეტად განვითარებაზე."

გასაუბრებიდან მიღებული შთაბეჭდილების შედეგად ნათელი გახდა, რომ **მაია ყუშიტაშვილი** სისხლის სამართლის მიმართულებით ფლობს მატერიალურ და საპროცესო კანონმდებლობას, ასევე ადამიანის უფლებათა სამართალს და ეცნობა კანონმდებლობაში განხორციელებულ ცვლილებებს.

**დასკვნა:** კომპეტენტურობის კრიტერიუმით (სამართლის ნორმების ცოდნა) შეფასებისას მიმაჩნია, რომ **მაია ყუშიტაშვილი** უნდა შეფასდეს 23 ქულით (მაქსიმალური ქულა 25).

**2.2. სამართლებრივი დასაბუთების უნარი და კომპეტენცია**

სამართლებრივი დასაბუთების უნარისა და კომპეტენციის მახასიათებლით შეფასებისას უნდა ითქვას, რომ კანდიდატს აქვს სასამართლო სისტემაში მუშაობის მრავალწლიანი გამოცდილება და გამოკითხული რეკომენდატორებისა და მასთან სამსახურეობრივ თუ პირად ურთიერთობაში მყოფი პირების მიერ შევსებული კითხვარებიდან და რეკომენდაციებიდან გამომდინარე, **მაია ყუშიტაშვილს** აქვს მსჯელობის კარგი უნარი, მისი მსჯელობა არის ლოგიკური და დამაჯერებელი და სრულად ესადაგება დასაბუთებული გადაწყვეტილების სტანდარტს.

კანდიდატს შეუძლია მარტივად და გასაგებად განმარტოს კანონები და კომპეტენტურად ისაუბროს სამართლის სხვადასხვა სფეროს ირგვლივ. კანდიდატს გააჩნია ანალიტიკური აზროვნებისა და აზრის კვალიფიციურად გადმოცემის უნარი, შეუძლია სამართლის სხვადასხვა სფეროში აქტუალურ საკითხებზე არგუმენტირებული მსჯელობა.

**დასკვნა:** სამართლებრივი დასაბუთების და კომპეტენციის კრიტერიუმით შეფასებისას მიმაჩნია, რომ **მაია ყუშიტაშვილი** უნდა შეფასდეს 24 ქულით (მაქსიმალური ქულა 25).

**2.3. წერისა და ზეპირი კომუნიკაციის უნარი**

**მაია ყუშიტაშვილს** აქვს ზეპირი კომუნიკაციის კარგი უნარი, მკაფიოდ აყალიბებს თავის პოზიციებსა და მოსაზრებებს. კანდიდატი გასაუბრებისას მშვიდად და დამაჯერებლად პასუხობდა საბჭოს წევრების მიერ დასმულ შეკითხვებს, კვალიფიციურად ასაბუთებდა საკუთარ პოზიციას და შეხედულებებს.

კანდიდატის წერის უნარს რაც შეეხება, მის მიერ წარმოდგენილი სამაგისტრო ნაშრომის გაცნობის შედეგად ვასკვნი, რომ კანდიდატს აქვს სათანადო წერის უნარი, იგი აზრს გადმოსცემს ნათლად, გასაგებად და თანმიმდევრულად.

იუსტიციის უმაღლესი სკოლის დამოუკიდებელი საბჭოს შეფასებით - „მაია ყუშიტაშვილის მიერ მომზადებული გადაწყვეტილებების პროექტები მოწონებას იმსახურებდა და მხოლოდ უმნიშვნელო შესწორებებს საჭიროებდა. პროექტების წერისას საქმის გარემოებებს აფასებდა სწორად, გამართულად აყალიბებდა აზრს, თუმცა შეინიშნებოდა პუნქტუაციური და სტილისტური შეცდომები. მას შესწევს უნარი აზრი ლაკონიურად თანმიმდევრულად ჩამოაყალიბოს, ფაქტების ზუსტი და სწორი შეფასებით მკაფიო სამართლებრივი დასაბუთებით, მარტივად და გასაგებად გადმოსცეს საკუთარი პოზიცია. მიუხედავად იმისა, რომ მისი საგამოცდო მიმართულება სისხლის სამართალში იყო, მან სამოქალაქო დავათა გადაწყვეტისათვის არა მხოლოდ თეორიისა და პრაქტიკის, ასევე სწორი სამართლებრივი აზროვნების უნარი გამოავლინა."

**დასკვნა:** წერისა და ზეპირი კომუნიკაციის უნარის კრიტერიუმით შეფასებისას მიმაჩნია, რომ **მაია ყუშიტაშვილი** უნდა შეფასდეს 18 ქულით (მაქსიმალური ქულა 20).

**2.4. პროფესიული თვისებები**

რეკომენდატორებისა და მასთან სამსახურეობრივი თუ პირად ურთიერთობაში მყოფი პირების მიერ შევსებული კითხვარებიდან გამომდინარე, კანდიდატი გამოირჩევა გადაწყვეტილების დაუხმარებლად მიღებისა და დამოუკიდებელი აზროვნების კარგი უნარით, არის პუნქტუალური, მიზანდასახული, საქმისადმი ერთგული, თავშეკავებული, შრომისმოყვარე, აქვს მენეჯერული უნარ-ჩვევები, ასევე სტრესულ გარემოში მუშაობის უნარი.

**დასკვნა:** პროფესიული თვისებების კრიტერიუმით შეფასებისას მიმაჩნია, რომ **მაია ყუშიტაშვილი** უნდა შეფასდეს 14 ქულით (მაქსიმალური ქულა 15).

**2.5. აკადემიური მიღწევები და პროფესიული წვრთნა**

**მაია ყუშიტაშვილს** მონაწილეობა აქვს მიღებული არაერთ სემინარში, ყოველთვის მზადაა ახალი ცოდნის შესაძენად და მის გამოსაყენებლად პრაქტიკულ საქმიანობაში.

კანდიდატი არ ეწევა პედაგოგიურ საქმიანობას.

**მაია ყუშიტაშვილმა** 2023 წელს ჩააბარა მოსამართლეობის საკვალიფიკაციო გამოცდა სისხლის სამართლის სპეციალიზაციაში.

**დასკვნა:** აკადემიური მიღწევების და პროფესიული წვრთნის კრიტერიუმით შეფასებისას მიმაჩნია, რომ **მაია ყუშიტაშვილი** უნდა შეფასდეს 3 ქულით (მაქსიმალური ქულა 10).

**2.6. პროფესიული აქტივობა**

**მაია ყუშიტაშვილი** მუდმივად მუშაობს საკუთარ თავზე, ცოდნის გაღრმავებასა და პროფესიულ განვითარებაზე. მონაწილეობას იღებს პროფესიულ პროგრამებში და ყოველდღიურ საქმიანობაში ახდენს მიღებული ცოდნის რეალიზებას. კანდიდატი არის საქართველოს უნივერსიტეტის სამართალმცოდნეობის 2018 წლის სადოქტორო პროგრამის სტუდენტი.

**<u>კანდიდატმა მონაწილეობა მიიღო შემდეგ ღონისძიებებში:</u>**

- 15.02.2020 – 16.02.2020წ. - მართვის უნარები - EU4Justice;
- 22.02.2020 – 23.02.2020წ. - საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს მნიშვნელოვანი გადაწყვეტილებები (პრეცედენტები) - იუსტიციის უმაღლესი სკოლა;
- 18.06.2022 – 19.06.2022წ. - სქესობრივი დანაშაული - UN Women – CoE და სხვა.

**<u>დასკვნა:</u>** პროფესიული აქტივობის კრიტერიუმით შეფასებისას მიმაჩნია, რომ **მაია ყუშიტაშვილი** უნდა შეფასდეს 4 ქულით (მაქსიმალური ქულა 5).

ყოველივე ზემოთ აღნიშნულიდან გამომდინარე, მიმაჩნია, რომ კანდიდატი **მაია ყუშიტაშვილი <u>სრულად აკმაყოფილებს „საერთო სასამართლოების შესახებ" საქართველოს ორგანული კანონით დადგენილ კეთილსინდისიერებისა და კომპეტენტურობის კრიტერიუმებს</u>**, მისი შეფასების შედეგად, საერთო ქულათა რაოდენობამ შეადგინა **<u>86</u>** ქულა.

გიორგი გზობავა

იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წევრი